



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

საქართველოს პანდემიის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება (შუადღური ანგარიში)



2020 წლის ოქტომბერი

კვლევის ავტორები

გიგი ჩიხლაძე

თამთა კახიძე

კვლევაზე ასევე მუშაობდნენ

ალექსანდრე ქევხიშვილი

გიორგი ლოლაძე

კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	7
თავი I. საკანონმდებლო ჩარჩო და განხორციელებული ცვლილებები	8
თავი II. პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები	12
1. შემოწირულებების მარეგულირებელი ჩარჩო	12
2. პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებების ძირითადი სტატისტიკის მიმოხილვა	13
3. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები	14
4. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შემოწირულობები	22
თავი III. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა	24

ძირითადი მიზნები

- 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომელთა შედეგადაც:
 - შემცირდა პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად დაწესებული ბარიერი 3%-დან 1%-მდე;
 - გამარტივდა და გაუმჯობესდა სახელმწიფო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესი;
 - პოლიტიკური პარტიის კონტრაგიტაციის მიზნით უკანონო ხარჯების განევისთვის დაწესდა სანქცია;
 - დაბუსტდა შემომწირველი იურიდიული პირის კრიტერიუმები;
 - ამომრჩევლის მოსყიდვა ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულად დაკვალიფიცირდება;
 - პარტიების ფინანსური მონიტორინგის პროცესში ელექტრონული დოკუმენტბრუნვა შესაძლებელი გახდა;
 - შემომწირველის პერსონალური მონაცემები უფრო დაცული გახდა;
 - აკრძალული დაფინანსების დეფინიცია გაფართოვდა;
 - ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ თავისი სარეკლამო დროის ფარგლებში რეკლამის განთავსებისთვის სანქცია პირდაპირ განისაზღვრა.
- 50 საარჩევნო სუბიექტიდან 29 იყო ისეთი, რომელმაც 2020 წლის 1 იანვრიდან 15 ოქტომბრამდე შემოწირულება მიიღო. ამ სუბიექტების მიერ მოზიდული შემოწირულებების ჯამმა **35 376 394 ლარი** შეადგინა, აქედან მმართველ პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველო“ - **17 086 626 ლარი** შესწირეს, პარტიას „ლელო საქართველოსათვის“ - **5 075 844 ლარი**, ხოლო საარჩევნო ბლოკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“¹ შემავალმა პარტიებმა ჯამურად **3 735 583 ლარი** მოიზიდეს.
- ყველა საარჩევნო სუბიექტის ჯამური შემოწირულებების **48%** მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიიღო. თუ წინა საარჩევნო წლების ტენდენციებს შევადარებთ, საპარლამენტო არჩევნების წელს (2016) „ქართული ოცნების“ წილი მთლიან შემოწირულებებში **66%** იყო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს (2017) კი ეს მაჩვენებელი უკვე **88%** გახდა. მმართველი და სხვა პარტიების მიღებულ შემოწირულებებს შორის სხვაობის შემცირება ძირითადად იმან განაპირობა, რომ აქამდე არსებულ ფინანსურად ძლიერი პარტიების ტრადიციულ სიას დაემატა ახალი პარტია „ლელო საქართველოსთვის“ და საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“.
- 29 სუბიექტის მიერ მიღებული ჯამური შემოწირულებების **98%** ფიზიკური პირების მიერ არის განხორციელებული, **2%** კი - იურიდიული პირების მიერ. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა დაახლოებით 1/3-ს იმაზე მეტი აქვს შეწირული, ვიდრე ერთი წლის საშუალო დარიცხული ხელფასია საქართველოში (11,040 ლარი²). ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულებების დაახლოებით **82%** მოდის, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებას მიუთითებს.

1 ბლოკის შემადგენლობაში შემდეგი პარტიები შედიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პროგრესი და თავისუფლება“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „ევროპელი დემოკრატები“.

2 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

- როგორც აღმოჩნდა, მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2020 წელს (1 ოქტომბრამდე) დაახლოებით **47 მლნ ლარის** ღირებულების ტენდერები მოიგეს, სანაცვლოდ ამ შემომწირველებმა იგივე პერიოდში **1.3 მლნ ლარი გაიღეს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ**. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **შპს გ & კ ტექნოლოგი**, რომელმაც წლის განმავლობაში 17.2 მლნ ლარის ტენდერები მოიგო, მისმა მფლობელმა **რომან აბრამიშვილმა** კი „ქართულ ოცნებას“ 60,000 ლარი შესწირა. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია პოლიტიკური პარტიების 2019 წლის ფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშშიც მსგავსი ქმედებისთვის მოხვდა.³ კიდევ ერთი მსხვილი სახელმწიფო კონტრაქტორია **შპს ლ.და.კ.**, რომელმაც 2020 წელს 8.1 მლნ ლარის ტენდერები მოიგო, ხოლო მისმა მფლობელებმა მმართველი პარტიის ყულაბაში 22,000 ლარი შეიტანეს. ასევე, დიდ ყურადღებას იქცევს **შპს არსაკიძე-2000**, კომპანია, რომელმაც 2020 წელს 1.4 მლნ ლარის სახელმწიფო ტენდერები მოიგო. ამ კომპანიის მფლობელები ამავე დროს დაკავშირებული არიან შპს ლილო-მოლთან - მსხვილ ბიზნეს ჯგუფთან, რომლის პარტნიორები წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პოლიტიკური შემომწირველები არიან.
- ტენდერების გარდა, მმართველ პარტიის შემომწირველი ფიზიკური პირების კომპანიები გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების მიმღებებიც არიან. კერძოდ, 2020 წლის 1 ოქტომბრამდე დაახლოებით **3.8 მლნ ლარის** ღირებულების გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები მიიღეს იმ კომპანიებმა, რომლებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა პირებმა დაახლოებით **2.2 მლნ ლარი** გაიღეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ამ კომპანიებიდან აღსანიშნავია შპს **ყვარლის ედემი**, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარის - ბიძინა ივანიშვილის ძმის ალექსანდრე ივანიშვილის ბიზნესპარტნიორების მფლობელობაშია. ეს კომპანია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ყურადღების ცენტრში მიმდინარე წლის გაზაფხულზეც მოექცა, როდესაც საგანგებო მდგომარეობის დროს მისი მფლობელების მიერ თანხის შეწირვიდან რამდენიმე დღეში გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის მსხვილი კონტრაქტი გაუფორმეს.
- წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ დიდი თანხებით აფინანსებს. **სამმა ასეთმა ჯგუფმა 2020 წელსაც გააგრძელა მსხვილი შემომწირულებების განხორციელება**. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა პირებმა „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში **447,500 ლარი** შესწირეს. შპს „ლილო-მოლთან“ დაკავშირებულმა პირებმა მმართველი პარტიის სასარგებლოდ ჯამში **595,000 ლარი** გაიღეს, ხოლო შპს „სერვის-აგრო“-სთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა პირებმა კი იგივე პარტიას **255,000 ლარი** შესწირეს.
- ცალკე კვლევის საგანი გახდა პარტიების მაჟორიტარი კანდიდატების შემომწირულებები. მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ 30 მაჟორიტარი კანდიდატიდან **შვიდმა** (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრის შემდეგ პარტიას **1,035,000 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემომწირულობების **6%-ა**. მაჟორიტარობის შვიდივე კანდიდატი მსხვილი ბიზნესმენია და სხვადასხვა ფორმით მთლიანობაში **127 კომპანიასთან** არის დაკავშირებული. ეს კანდიდატები არიან: **ზაალ დუგლაძე, ანტონ ობოლაშვილი, გოჩა ენუქიძე, ზაზა ლომინაძე, ირაკლი ხახუბია, დავით სონდულაშვილი და ვასილ ჩიგოგიძე**. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი მაჟორიტარი კანდიდატის ბიზნესპარტნიორები ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ოდენობის თანხას სწირავდნენ პარტიას.
- საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“ მიერ დასახელებული მაჟორიტარობის 25 კანდიდატიდან 15-მა (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრის შემდეგ საარჩევნო ბლოკში

3 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2019 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 09.07.2020: <https://bit.ly/35vdhsb>

შემაჯავალ პარტიებს **565,670 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოსწორულობების **15.1%-ა**. ამ თანხიდან 105,000 ლარი ერთსა და იმავე დღეს – 8 ოქტომბერს შესწირა მაჟორიტარობის კანდიდატ მურთაზ ზოდელავას ოთხმა ბიზნესპარტნიორმა (**დიმიტრი ძაგნიძე, გიორგი ჩივიაშვილი, გიორგი გელხაური და ბექა ბასილაია**).

- პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის 29 კანდიდატიდან შვიდმა საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვის განმავლობაში პარტიას **421,990 ლარი** შესწირა, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოსწორულობების **22.6%-ა**. ამ თანხიდან 185,000 ლარი ოთხმა მაჟორიტარმა (**იოსებ შატბერაშვილი, კახაბერ ძაგანია, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე**) ერთსა და იმავე დღეს – 10 სექტემბერს შესწირა პარტიას.

აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდში ამ უწყებამ შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, 7 საქმეზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომელთაგან სამზე უკვე დაასრულა წარმოება, ორ სამართალდარღვევის ფაქტზე კი შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. ორი საქმის შესწავლა კვლავ გრძელდება, მათ შორისაა შემთხვევა, რომლის შესწავლის მიზები გახდა საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის „დოსიე“ ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ორ ნაწილად 24 და 31 აგვისტოს გამოქვეყნდა და მათში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კრემლთან კავშირებსა და ფინანსურ ურთიერთობებზეა მოთხრობილი. **აღნიშნულმა საქმემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები, რითაც შეძლებს მსგავსი შემთხვევების გამოძიებას.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მოსაზრებით, უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო. ეს უწყება აღჭურვილი იქნება საგამოძიებო უფლებამოსილებებით და სხვა საკითხებთან ერთად პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებსაც გაუწევს ბედამხედველობას. პარლამენტის რამდენიმე წევრმა ამ იდეის განსახორციელებლად კანონპროექტი უკვე დაარეგისტრირდა საკანონმდებლო ორგანოში, თუმცა იგი ჯერჯერობით არ განხილულა.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები უნდა გაიმართოს, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც 48 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 11 დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი დარეგისტრირდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი დიდ წილად მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. სწორედ ამიტომ საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წლებია უკვე, რაც სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

ამჯერად წარმოგიდგინთ კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მხრივ არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში 1 სექტემბრიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა 31 აგვისტოს არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოაქვეყნა.⁴ წინამდებარე შუალედური კვლევის ძირითადი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე არსებულ დროის მონაკვეთს, გარდა პოლიტიკური პარტიების კერძო შემოწირულობების საკითხისა, რომლის შესახებ ანალიზიც უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს. 1 სექტემბრიდან პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე 2 სამკვირიანი ფინანსური ანგარიში წარუდგინეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, თუმცა მეორე სამკვირიანი ანგარიშები კვლევაზე მუშაობის დროს სრულად არ იყო გასაჯაროებული. შესაბამისად, მწირი ინფორმაციის გამო, წინამდებარე კვლევა მხოლოდ პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების შესახებ არსებულ მონაცემებზე აკეთებს აქცენტს, ვინაიდან აღნიშნული სტატისტიკა პარტიების ფინანსური ანგარიშების გარეშეც ხელმისაწვდომია.

კვლევის დასაწყისში მოკლედ არის მიმოხილული საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც საქართველოში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხები არის მონესრიგებული. ამავე თავში განხილულია ის ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც 2020 წლის 2 ივლისს იქნა მიღებული და ამა თუ იმ ფორმით პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხს ეხება.

ანგარიშის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია ზემოთ ნახსენები 50-ზე საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული შემოწირულობებისთვისებრივი დარაოდენობრივი ანალიზი, მათ შორის, შემომწირველების ბიზნეს ინტერესები და მათთან დაკავშირებული კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. ბოლო თავი კი ეთმობა ფინანსების გამჭვირვალობისა და მასზე ზედამხედველობის საკითხს, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობას.

საბოლოო ანგარიში არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდება, რომელიც საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ყველა საკითხს მოიცავს, ასევე, წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები.

4 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N 31/08/01 2020 წლის 31 აგვისტო: <https://bit.ly/3jxkVHH>

თავი I. საკანონმდებლო ჩარჩო და განხორციელებული სვლილებები

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. რეგულირების სფერო, თავის მხრივ, მოიცავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებსა და ხარჯების აღრიცხვას, ასევე, მათი გამჭვირვალობის და კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ**“ და **საარჩევნო კოდექსი**, ასევე, კანონებით - „**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ**“, **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**, **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი** - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს, ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღვევლი რეგულირებები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში. საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის / წინასაარჩევნო პერიოდისთვის, რომელიც იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე.

არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში პარტია მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს.⁵ პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს.⁶ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია.⁷ შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.⁸ რაც შეეხება მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს აქ კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას; საარჩევნო ბლოკს და; ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს.⁹ პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში ტარდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, ხოლო საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.¹⁰ რეგისტრაციის შემდეგ ეს პირები ხდებიან საარჩევნო სუბიექტები.

5 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

6 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

7 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

8 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-7 ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

9 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

10 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]

არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში დადგენილი ფორმით.¹¹ საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ხოლო მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები – მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 1 თვისა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტორულ (აუდიტორული ფორმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნების დანიშვნის დღიდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით გამოყენებული სახსრების ანგარიშს.¹²

2020 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით:

შემცირდა სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად დაწესებული ბარიერი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის. თუ აქამდე ამ თანხის მიღებისთვის დაწესებული იყო 3%-ანი ბარიერი, ანუ პარტიას პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებზე უნდა მიეღოთ არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა მინიმუმ 3%-ის მხარდაჭერა, ცვლილებებით, კრიტერიუმები შეიცვალა და ახლა მხოლოდ პარლამენტის არჩევნების შედეგებით მიიღებს პარტია სახელმწიფო დაფინანსებას. ასევე, დაფინანსების მისაღებად საჭირო ბარიერი 3%-დან 1%-მდე შემცირდა.¹³ ეს წესი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედდეს.

გამარტივდა და გაუმჯობესდა სახელმწიფო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის წესი. ძველი წესის მიხედვით, პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების გამოანგარიშება შემდეგი ფორმულით ხდებოდა: $Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1)+(H)$, სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის გემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის გემოთ მიღებული ხმების ოდენობა; H – პარტია, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული იყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და რომლის წევრიც არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, თუ იგი შექმნის საპარლამენტო ფრაქციას. ამ ფორმულის მიზნებისთვის $H=300\ 000$ ლარს.

განხორციელებული ცვლილებებით ეს ფორმულა გაუქმდა და დაფინანსების წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: პარტია პირველი 50 000 მიღებული ნამდვილი ხმისთვის თითოეულზე 15 ლარს მიიღებს, ხოლო ყოველ მომდევნო ნამდვილ ხმაზე - 5 ლარს.¹⁴ ეს წესი მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებისთანავე, ანუ 2020 წელს უნდა ამოქმედდეს.

პოლიტიკური პარტიის კონტრაგიტაციის მიზნით უკანონო ხარჯების განწესისთვის დაწესდა სანქცია. ძველი რედაქციით, პარტიისთვის, საარჩევნო სუბიექტისთვის ან გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირისთვის მხოლოდ უკანონო შემოწირულების ან სანევრო შენატანისთვის იყო გათვალისწინებული სანქცია.¹⁵ შეტანილი ცვლილებებით, ეს მუხლი, ასევე, გავრცელდა პარტიის მხარდაჭერისაგან თავის შეკავების მიზნით განეულ უკანონო ფულად ხარჯზე, ასევე, უსასყიდლოდ ან

11 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]
12 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 192-ე მუხლის მე-4 ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37pgl6c> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]
13 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3djonxn> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]
14 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3djonxn> [ბოლოს ნანახია: 20.10.2020]
15 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 34²-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3djonxn> [29.11.2019 რედაქცია]

ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით გაცემულ მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობაზე ან განუვლ მომსახურებაზე (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).¹⁶

დაზუსტდა შემომწირველი იურიდიული პირის კრიტერიუმები. ძველი რედაქციით, შემომწირველი კომპანიის პარტნიორი შეიძლება ყოფილიყო უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირი, თუ მისი საბოლოო ბენეფიციარი საქართველოს მოქალაქე იქნებოდა.¹⁷ შეტანილი ცვლილებებით, შემომწირველი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის პარტნიორები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში რეგისტრირებული ის იურიდიული პირები არიან, რომელთა საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან.¹⁸

ამომრჩევლის მოსყიდვისთვის პასუხისმგებლობა შეიცვალა. ძველი რედაქციით, ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით გარიგების დადება, თუ ასეთი გარიგების ღირებულება არ აღემატებოდა 100 ლარს, ინვესტორის ან პარტიის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ დაჯარიმებას გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით.¹⁹ ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან და გადავიდა „სისხლის სამართლის კოდექსში“ და ისჯება ჯარიმით.

ელექტრონული დოკუმენტრუნვა შესაძლებელი გახდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უფლება მიეცა, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პროცესში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობით დოკუმენტს.²⁰

შემომწირველის პერსონალური მონაცემები უფრო დაცული გახდა. ძველი რედაქციით, საჯარო იყო შემომწირველი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის ადგილი.²¹ მიღებული ცვლილებებით, რეგისტრაციის ადგილი აღარ იქნება საჯარო.²²

აკრძალული დაფინანსების დეფინიცია გაფართოვდა. კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, აკრძალულ შემომწირულებად, საწევრო შენატანად, ხარჯად ასევე ითვლება განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ დაუსაბუთებელი ქონების გამოყენებით განხორციელებული შემომწირულება, საწევრო შენატანი, ხარჯი.²³

16 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 34²-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [02.07.2020, მოქმედი რედაქცია, ბოლოს ნანახია 20.10.2020]

17 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [29.11.2019 რედაქცია]

18 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [02.07.2020, მოქმედი რედაქცია, ბოლოს ნანახია 20.10.2020]

19 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 34²-ე მუხლის მე-6 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [29.11.2019 რედაქცია]

20 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 34¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ1“ ქვეპუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [02.07.2020, მოქმედი რედაქცია, ბოლოს ნანახია 20.10.2020]

21 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [29.11.2019 რედაქცია]

22 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [02.07.2020, მოქმედი რედაქცია, ბოლოს ნანახია 20.10.2020]

23 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 34²-ე მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dJJonxn> [02.07.2020, მოქმედი რედაქცია, ბოლოს ნანახია 20.10.2020]

„საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ თავისი სარეკლამო დროის ფარგლებში რეკლამის განთავსებისთვის სანქცია პირდაპირ განისაზღვრა.²⁴ მართალია მსგავსი ფაქტი ცვლილებებამდეც უნდა მიჩნეულიყო დარღვევად, თუმცა, საკითხში მეტი სიცხადის შემოტანა და კანონში პირდაპირ ჩანერა მისასაღმებელია. ეს ცვლილება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შექენისთანავე ამოქმედდება.²⁵

24 საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34d5K1O>

25 საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34d5K1O>

თავი II. პოლიტიკური პარტიების შემოწიწება

მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიისთვის პირდაპირ გადაცემულ თანხებს, არაპირდაპირ დაფინანსებას და გარკვეული ხარჯების ანაზღაურებას); 2. სანევრო შენატანები; 3. შემოწირულებები; 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მონყობით, აგრეთვე, სანესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი; 5. საბანკო სესხები. მიმდინარე ანგარიშში, პარტიების მიერ მიღებული შემოსავლებიდან მხოლოდ შემოწირულებები იქნება განხილული.

1. შემოწიწების მანიგულირებადი ჩარჩო

შემოწირულება შეიძლება იყოს:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური, ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა;
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემოწირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ;
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი სანარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით;
- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს;

აკრძალულია შემოწირულების მიღება:

- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან;
- არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ანონიმური ფორმით.

2. პარტიების მიერ მიღებული შემოწმებაების ძირითადი სტატისტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ქვეთავი აანალიზებს არჩევნებში მონაწილე პარტიების მიერ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან - 15 ოქტომბრის ჩათვლით მიღებულ შემოწმებებს. რადგანაც ინტერვალში არასაარჩევნო პერიოდსაც მოიცავს,²⁶ საარჩევნო პერიოდში დარეგისტრირებულ ბლოკებში შემავალი პარტიები განხილულია ერთ სუბიექტად და მათ მიერ მიღებული შემოწმებები გაერთიანებულადაა წარმოდგენილი.

როგორც შესავალში აღინიშნა, საარჩევნო სუბიექტად სულ 48 პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი დარეგისტრირდა,²⁷ მათგან 29 იყო ისეთი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში შემოწმებები ჰქონდა მიღებული. ამ პერიოდში (2021 წლის 1 იანვარი - 15 ოქტომბერი) 29 სუბიექტმა სულ **35 376 394 ლარის** ოდენობის შემოწმებები მიიღო, აქედან პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - **17 086 626 ლარი** შესწირეს, პარტიას „ლელო საქართველოსათვის“ - **5 075 844 ლარი**, ხოლო საარჩევნო ბლოკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“²⁸ შემავალმა პარტიებმა ჯამურად **3 735 583 ლარი** მოიზიდეს (იხილეთ **დიაგრამა 1**).

დიაგრამა 1. საარჩევნო სუბიექტები, რომლებმაც 1 00 ათას ლარზე მეტი შემოწმება მიიღეს, ლ (2020 წლის 1 იანვარი - 15 ოქტომბერი)

ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	17,086,626
ლელო საქართველოსთვის	5,075,844
ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“	3,735,583
ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის	2,793,574
ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ *	2,279,850
საქართველოს პატიოსანი ალიანსი	1,864,635
თავისუფალი საქართველო	475,635
სოციალ-დემოკრატიული საქართველოს განვითარებისთვის	336,555
სოციალური სამართლიანობისთვის	320,989
დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	281,690
აღვსოვლიანი საქართველო-მოქალაქეები	257,243
საქართველოს დიპლომატიური პარტია	131,066

* ბლოკის შემადგენლობაში შემდეგი პარტიები შედიან: „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“ და „კანონი და სამართალი“

ყველა საარჩევნო სუბიექტის ჯამური შემოწმებების **48%** მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიიღო (იხილეთ **დიაგრამა 2**). მიუხედავად იმისა, რომ


26 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი 1 სექტემბრიდან დაიწყო.

27 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები განცხადების წარდგენის რიგითობით, cesko.ge, <https://bit.ly/2Hhru45>

28 ბლოკის შემადგენლობაში შემდეგი პარტიები შედიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პროგრესი და თავისუფლება“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „ევროპელი დემოკრატები“.

წლის დასრულებამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, აღნიშნული პროპორცია, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. თუ წინა საარჩევნო წლების ტენდენციებს შევადარებთ, საპარლამენტო არჩევნების წელს (2016) „ქართული ოცნების“ წილი მთლიან შემოწირულებებში **66%** იყო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს (2017) კი ეს მაჩვენებელი უკვე **88%** იყო. მმართველი და სხვა პარტიების მიღებულ შემოწირულებებს შორის სხვაობის შემცირება ძირითადად იმან განაპირობა, რომ აქამდე არსებულ ფინანსურად ძლიერ პარტიების ტრადიციულ სიას დაემატა ახალი პარტია „ლელო საქართველოსთვის“ და საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ ფინანსური უპირატესობა კვლავ დიდია.

ღიაზრავა 2. ყველაზე მეტი შემოწირულების მიმღები სამი საარჩევნო სუბიექტის წილი ჯამურ შემოწირულებაში, ლ (2020 წლის 1 იანვარი - 15 ოქტომბერი)



29 სუბიექტის მიერ მიღებული ჯამური შემოწირულებების **98%** ფიზიკური პირების მიერ არის განხორციელებული, **2%** კი - იურიდიული პირების მიერ. ქართული პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა დაახლოებით 1/3-ს იმაზე მეტი აქვს შეწირული, ვიდრე ერთი წლის საშუალო დარიცხული ხელფასია საქართველოში (11,040 ლარი²⁹). ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულების დაახლოებით **82%** მოდის, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებას მიუთითებს.

3. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემავალი შემოწირულება

პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებით მაღალი რისკები, ბუნებრივია, მმართველი პარტიის მიერ მიღებულ შემოწირულებებს უფრო ახლავს თან, ვინაიდან სწორედ ხელისუფლებას აქვს იმის ბერკეტი, რომ გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს. სწორედ ამიტომ კვლევისას განსაკუთრებული აქცენტი „ქართული ოცნების“ შემოწირულებებზე გაკეთდა. ამ მიზნით, შევისწავლეთ მმართველი პარტიის შემომწირველები, რომლებმაც 2020 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაიღეს თანხა. კერძოდ, შევხედეთ, თუ რამდენი მათგანი იყო იმ ბიზნეს კომპანიებთან დაკავშირებული, რომლებსაც მიმდინარე წელს გარკვეული სარგებელი აქვთ მიღებული სახელმწიფო შესყიდვებიდან.

29 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

როგორც აღმოჩნდა, მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2020 წელს (1 ოქტომბრამდე) დაახლოებით **47 მლნ ლარის** ღირებულების ტენდერები მოიგეს, სანაცვლოდ და ამ შემომწირველებმა იგივე პერიოდში **1.3 მლნ ლარი გაიღეს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.**

ცხრილი 1-ში იმ კომპანიების ათეულია ჩამოთვლილი, რომლებმაც ყველაზე მეტი ღირებულების ტენდერები მოიგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **შპს გ & კ ტექნოლოჯი**, რომელმაც წლის განმავლობაში 17.2 მლნ ლარის ტენდერები მოიგო, მისმა მფლობელმა **რომან აბრამიშვილმა** კი „ქართულ ოცნებას“ 60,000 ლარი შესწირა. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია პოლიტიკური პარტიების 2019 წლის ფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშშიც მსგავსი ქმედებისთვის მოხვდა.³⁰ კიდევ ერთი მსხვილი სახელმწიფო კონტრაქტორია **შპს ლ.და.კ**, რომელმაც 2020 წელს 8.1 მლნ ლარის ტენდერები მოიგო, ხოლო მისმა მფლობელებმა მმართველი პარტიის ყულაბაში 22,000 ლარი შეიტანეს. ასევე, დიდ ყურადღებას იქცევს **შპს არსაკიძე-2000**, კომპანია, რომელმაც 2020 წელს 1.4 მლნ ლარის სახელმწიფო ტენდერები მოიგო. ამ კომპანიის მფლობელები ამავე დროს დაკავშირებული არიან შპს ლილო-მოლთან - მსხვილ ბიზნეს ჯგუფთან, რომლის პარტნიორები წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პოლიტიკური შემომწირველები არიან და მათ შესახებ უფრო მეტი დეტალი ქვემოთ არის მოცემული.

ცხრილი 1. „ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებული 10 კომპანია, რომელმაც ყველა მეტი ღირებულების ტენდერები მოიგო, 2020 წლის 1 იანვარი - 1 ოქტომბერი

#	სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტორი	2020 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე მოგებული ტენდერების საერთო ღირებულები, მლნ ლ	სახელმწიფო შემსყიდველ კომპანიასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემომწირველი	შემონირულების ოდენობა 2020 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, ლ	2011 წლიდან განხორციელებული პოლიტიკური შემონირულებების ჯამი, ლ
1	შპს გ & კ ტექნოლოჯი	17.2	რომანი აბრამიშვილი	60000	187000
			შპს გ & კ ტექნოლოჯი	0	40000
2	შპს ლ.და.კ	8.1	დავით კაპანაძე	15000	47000
			ლევან ლურსმანაშვილი	7000	42000
4	შ.პ.ს. ვი-აი-პი +	7.8	მამუკა ხელაია	15000	45000
3	შპს ქცია	6.2	პაატა შუბითიძე	60000	60000
5	შპს გრავიტა	2.4	რევაზ ზირაქაძე	30000	30000

30 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2019 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 09.07.2020: <https://bit.ly/35vdhsb>

6	შპს არსაკიდე-2000	1.4	ვაჟა უსანეთაშვილი	60000	256010
			დავით ალიბეგაშვილი	15000	120000
			ირაკლი პეტრიაშვილი	15000	170000
			გიორგი კვარაცხელია	20000	35000
			ნიკოლოზ უსანეთაშვილი	25000	40000
			ბაჩო კაპანაძე	25000	40000
			გონა ჩოკოშვილი	25000	135000
			დავითი გაგუა	50000	80000
			ილია შონია	60000	244000
			თენგიზ გავაშელი	60000	228000
			დავით კაპანაძე	60000	140000
			გია ანდლულაძე	60000	247000
			ლევან გაგუა	60000	100000
			გიორგი გაგუა	60000	237000
7	შპს ჯი-თი ჯგუფი	1.3	გიორგი ალთუნაშვილი	60000	60000
			ჯაბა შელია	60000	60000
8	შპს ტიბია	1	პაპუნა ქობალია	20000	20000
9	შპს მაიჯიპიეს	0.5	თემური მატუა	60000	60000
10	შპს აგროტექნო	0.4	მიხეილი ალხანიშვილი	40000	80000

ტენდერების გარდა, მმართველი პარტიის შემომწირველი ფიზიკური პირების კომპანიები გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების მიმღებებიც არიან. კერძოდ, 2020 წლის 1 ოქტომბრამდე დაახლოებით **3.8 მლნ** ლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები მიიღეს იმ კომპანიებმა, რომლებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა პირებმა დაახლოებით **2.2 მლნ** ლარი გაიღეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ხუთი ყველაზე მსხვილი გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტორი კომპანია მოცემულია **ცხრილში 2**. ამ ხუთეულიდან აღსანიშნავია შპს ყვარლის ედემი, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარის - ბიძინა ივანიშვილის ძმის ალექსანდრე ივანიშვილის ბიზნესპარტნიორების მფლობელობაშია. ეს კომპანია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ყურადღების ცენტრში მიმდინარე წლის გაზაფხულზეც მოექცა, როდესაც საგანგებო მდგომარეობის დროს მისი მფლობელების მიერ თანხის შეწირვიდან რამდენიმე დღეში გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის მსხვილი კონტრაქტი გაუფორმეს.³¹

ცხრილი 2. „ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებული 5 კომპანია, რომელმაც ყველა მეტი ღირებულების გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები მიიღო, 2020 წლის 1 იანვარი - 1 ოქტომბერი

#	სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტორი	2020 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით მიღებული კონტრაქტების საერთო ღირებულები, მლნ ლ	სახელმწიფო შემსყიდველ კომპანიასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემომწირველი	შემონირულების ოდენობა 2020 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, ლ	2011 წლიდან განხორციელებული პოლიტიკური შემონირულებების ჯამი, ლ
1	შპს კურორტი საირმე	2.3	დავით ყიფიანი	5000	5000
2	შპს ჯეოფერუმ	0.5	დავით კაპანაძე	15000	47000
			ლევან ლურსმანაშვილი	7000	42000
3	შპს იბერკომპანი	0.3	გონა ენუქიძე	55000	280000
4	შპს ყვარლის ედემი	0.3	ალექსანდრე მალრაძე	5000	5000
			ალექსანდრე ივანიშვილი	52300	262300

31 „ყვარლის ედემთან“ დადებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი კითხვებს აჩენს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 02.06.2020: <https://bit.ly/3jt9FMp>

			გია უროტაძე	17000	32000
			ლევან მარშანია	5000	9996
			ზურაბ კიკნაძე	25000	90000
			დავით დუგლაძე	35000	215000
			არჩილ მამაცაშვილი	10000	55600
			გიორგი მიქაბერიძე	20000	87000
			ზაალ დუგლაძე	25000	115000
			კახა კობიაშვილი	40000	180000
			დავით გალუაშვილი	40000	225429
			ბექა კვარაცხელია	40000	179600
			გონა ჩიკვილაძე	40000	201630
			გივი ლებანიძე	45000	171800
			ზურაბ გოგუა	45000	188000
			ლერი კაპანაძე	50000	256400
			ნათო ხაინდრავა	50000	312600
5	შ.პ.ს. კახური ტრადიციული მეღვინეობა	0.2	გიორგი ალთუნაშვილი	60000	60000
			ირაკლი უგლავა	15000	15000

პოლიტიკური პარტიების 2019 წლის ფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ დიდი თანხებით აფინანსებს. ყველა ასეთ ჯგუფს ის ახასიათებს,

რომ მასში შემავალი პირების დიდი ნაწილი ერთსა და იმავე დღეს ან 1-2 დღის შუალედში წირავს მმართველ პარტიას თანხას, რაც გარკვეულ ეჭვებს აჩენს, წინასწარ ხომ არ არის ეს კოლექტიური ქმედება ვინმეს მიერ ორგანიზებული და სხვა პირების მეშვეობით ხომ არ ხდება შეწირვა. ქართული კანონმდებლობით იკრძალება მესამე პირის მეშვეობით შემოწირულების განხორციელება.³²

ასეთ შემომწირველებში მოიაზრებოდნენ: ა) ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველი ფიზიკური და იურიდიული პირების ჯგუფი; ბ) შპს ლილო-მოლო-თან დაკავშირებული შემომწირველები; გ) შპს სერვის-აგრო-სთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემომწირველები; ბ) სახელმწიფო შესყიდვების მსხვილ კონტრაქტორთან შპს თეგეტა მოტორსთან დაკავშირებული პირები და; ე) შპს პოლიმერთან დაკავშირებული პირები.

აღნიშნული ხუთი ჯგუფიდან პირველმა სამმა 2020 წელსაც გააგრძელა მსხვილი შემომწირულებების განხორციელება. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა პირებმა „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში **544,300 ლარი** შესწირეს (იხილეთ **ცხრილი 3**). შპს ლილო-მოლო-სთან დაკავშირებულმა პირებმა მმართველი პარტიის სასარგებლოდ ჯამში **595,000 ლარი** (იხილეთ **ცხრილი 4**) გაიღეს, ხოლო შპს „სერვის-აგრო“-სთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა პირებმა კი იგივე პარტიას **255,000 ლარი** (იხილეთ **ცხრილი 5**) შესწირეს.

ცხრილი 3. სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველები

შემომწირველის სახელი და გვარი	შემომწირულების ოდენობა (ლ)	შემომწირულების განხორციელების ბუსტი თარიღი 2020 წელს	ყველა წელს განხორციელებული პოლიტიკური შემომწირულებების ჯამი (ლ)	კავშირი
ალექსანდრე ივანიშვილი	52300	10/5/2020	262300	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია, ბიძინა ივანიშვილის ძმა
გია უროტაძე	17000	3/20/2020	32000	შპს ზიმო
ლევან მარშანია	5000	3/23/2020	9996	შპს ზიმო
ალექსანდრე მალრაძე	5000	3/20/2020	5000	შპს ზიმო

32 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2019 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 09.07.2020: <https://bit.ly/35vdhsb>

ზურაბ კიკნაძე	25000	3/20/2020	90000	შპს ზიმო
დავით დუგლაძე	35000	8/14/2020	215000	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია
არჩილ მამაცაშვილი	10000	8/12/2020	55600	სს დაზღვევის კომპანია ქართუ
გიორგი მიქაბერიძე	20000	8/13/2020	87000	სს დაზღვევის კომპანია ქართუ
ზაალ დუგლაძე	25000	5/5/2020	115000	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია
კახა კობიაშვილი	40000	8/12/2020	180000	შპს აქცეპტი, ბიძინა ივანიშვილის დისშვილი
დავით გალუაშვილი	40000	3/16/2020	225429	სს ბანკი ქართუ
ბექა კვარაცხელია	40000	3/16/2020	179600	სს ბანკი ქართუ
გონა ჩიკვილაძე	40000	3/16/2020	201630	სს ქართუ ჯგუფი
გივი ლებანიძე	45000	3/16/2020	171800	სს ბანკი ქართუ
ზურაბ გოგუა	45000	3/16/2020	188000	სს ბანკი ქართუ
ლერი კაპანაძე	50000	4/2/2020	256400	შპს აქცეპტი
ნატო ხაინდრავა	50000	3/16/2020	312600	სს ბანკი ქართუ
ჯამი	544300		2587355	

ცხრილი 4. შპს ლილო-მოლის მფლობელები და მათი ბიზნესპარტნიორი შემომწირველები

შემომწირველის სახელი და გვარი	შემონირულების ოდენობა (ლ)	შემონირულების განხორციელების მუსტი თარიღი 2020 წელს	ყველა წელს განხორციელებული პოლიტიკური შემონირულებების ჯამი (ლ)
დავით ალიბეგაშვილი	15000	3/6/2020	120000
ირაკლი პეტრიაშვილი	15000	3/4/2020	170000
გიორგი კვარაცხელია	20000	5/15/2020	35000
ნიკოლოზ უსანეთაშვილი	25000	5/27/2020	40000
ბაჩო კაპანაძე	25000	5/15/2020	40000
გონა ჩოკოშვილი	25000	3/5/2020	135000
დავითი გაგუა	50000	5/15/2020	80000
ილია შონია	60000	5/27/2020	244000
თენგიზ გავაშელი	60000	5/15/2020	228000
დავით კაპანაძე	60000	5/15/2020	140000
გია ანდლულაძე	60000	5/15/2020	247000
ლევან გაგუა	60000	5/15/2020	100000
გიორგი გაგუა	60000	5/15/2020	237000
ვაჟა უსანეთაშვილი	60000	5/15/2020	256010
ჯამი	595000		2072010

ცხრილი 5. შპს სერვის-აგრო-სთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემომწირველები

შემომწირველის სახელი და გვარი	შემომწირულების ოდენობა (ლ)	შემომწირულების განხორციელების მუსტი თარიღი 2020 წელს	ყველა წელს განხორციელებული პოლიტიკური შემომწირულებების ჯამი (ლ)
გიორგი სვანიძე	15000	9/9/2020	70000
გელა ჩხეიძე	30000	9/9/2020	60000
ნიკოლოზ ხმალაძე	40000	9/10/2020	90000
მარინე სიჩევი	50000	10/9/2020	85000
დავით ქვათაძე	60000	9/15/2020	190000
გიორგი ადეიშვილი	60000	9/9/2020	85000
ჯამი	255,000		580,000

4. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შემოწირულობები

ვინაიდან საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ პარტიების მაჟორიტარი დეპუტატები ხშირად მდიდარი ადამიანები არიან, რომელთაც საკუთარი ბიზნეს ინტერესების დაცვა უფრო აინტერესებთ, ვიდრე კანონშემოქმედება, ცალკე შევისწავლეთ ყველა მეტნაკლებად დიდი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შემომწირულებები და მათი წვლილი პარტიის ფინანსებში.

მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილმა მაჟორიტარობის 30 კანდიდატიდან **შვიდმა** (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრის შემდეგ პარტიას **1,035,000 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემომწირულობების **6%-ა**.

მაჟორიტარობის შვიდივე კანდიდატი მსხვილი ბიზნესმენია და სხვადასხვა ფორმით მთლიანობაში **127 კომპანიასთან** არის დაკავშირებული. ეს კანდიდატები არიან: **ზაალ დუგლაძე, ანტონ ობოლაშვილი, გოჩა ენუქიძე, ზაზა ლომინაძე, ირაკლი ხახუბია, დავით სონღულაშვილი და ვასილ ჩიგოვიძე.**

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი მაჟორიტარი კანდიდატის ბიზნესპარტნიორები ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ოდენობის თანხას სწირავდნენ პარტიას:

- ზაალ დუგლაძემ და მისმა ძმამ (დავით დუგლაძე) 5 მაისს 25,000-25,000 ლარი შესწირეს „ქართულ ოცნებას“.

- დავით სონღულაშვილმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა (ნუკრი ლიპარტაშვილი) 17 სექტემბერს 60,000-60,000 ლარი შესწირეს „ქართულ ოცნებას“.
- ასევე საინტერესო თარიღია 10 სექტემბერი, როდესაც მაჟორიტარობის 3 კანდიდატის (**ზაალ დუგლაძე, ანტონ ობოლაშვილი და გონა ენუქიძე**) ხუთმა სხვადასხვა ბიზნესპარტნიორმა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაიღო შემოწირულობა ჯამური მოცულობით 148,000 ლარი.

საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“ მიერ დასახელებული მაჟორიტარობის 25 კანდიდატიდან 15-მა (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრის შემდეგ საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს **565,670 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **15.1%-ა**. ამ თანხიდან 105,000 ლარი ერთსა და იმავე დღეს - 8 ოქტომბერს შესწირა მაჟორიტარობის კანდიდატ მურთაზ ზოდელავას ოთხმა ბიზნესპარტნიორმა (**დიმიტრი ძაგნიძე, გიორგი ჩივიაშვილი, გიორგი გელხაური და ბექა ბასილაია**).

პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის 29 კანდიდატიდან შვიდმა საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვის განმავლობაში პარტიას **421,990 ლარი** შესწირა, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **22.6%-ა**. ამ თანხიდან 185,000 ლარი ოთხმა მაჟორიტარმა (**იოსებ შატბერაშვილი, კახაბერ ძაგანია, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე**) ერთსა და იმავე დღეს - 10 სექტემბერს შესწირა პარტიას.

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის 28 კანდიდატიდან ექვსმა (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრის შემდეგ პარტიას **354,200 ლარი** შესწირა, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **7%-ა**. ამ თანხის უმეტესი ნაწილი - 275,000 ლარი გაიღეს ბადრი ჯაფარიძის ბიზნესპარტნიორებმა.

პარტიის „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის 20 კანდიდატიდან 11-მა (მათი ოჯახის წევრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩათვლით) 2020 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პარტიას **216,000 ლარი** შესწირა, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **7.7%-ა**.

პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის ორი კანდიდატიდან ერთის - გიორგი ვაშაძის მეუღლემ და მეუღლის ბიზნესპარტნიორმა 2020 წლის სექტემბერში პარტიას **119,958 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **5.3%-ა**.

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის 10 კანდიდატიდან რვამ 2020 წლის არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში პარტიას **41,086 ლარი** შესწირეს, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **31.3%-ა**.

პარტია „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ მიერ დასახელებული მაჟორიტარობის 8 კანდიდატიდან ერთმა 2020 წლის აგვისტოში **40,000 ლარი** შესწირა პარტიას, რაც ამ პერიოდში პარტიის მიერ მთლიანად მიღებული შემოწირულობების **15.5%-ა**.

თავი III. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა

ქართული კანონმდებლობით პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს მინიჭებული. იგი ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც უკვე აღინიშნა, არჩევნების დანიშნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში დადგენილი ფორმით. 1 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით თითოეულ საარჩევნო სუბიექტებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის უკვე ორი დეკლარაცია უნდა წარუდგინა. ვინაიდან კვლევაზე მუშაობის პერიოდში მეორე სამკვირიანი დეკლარაციები ბოლომდე არ იყო გასაჯაროებული, ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, რამდენად კარგად შეასრულეს საარჩევნო სუბიექტებმა ეს ვალდებულება.

წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც პარტიების დაფინანსების მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, შესაძლო დარღვევებზე რეაგირებას ახდენდა და საზოგადოებას ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. ოქტომბრის დასაწყისში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობამ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, რომელზეც წარმოადგინა ინფორმაცია განუვლი საქმიანობის შესახებ, თვის ბოლოს კი გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში³³.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში უწყებამ შემოწირულებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 1,055 ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ, საიდანაც ინფორმაცია მიღებულია 39 პირზე. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულ იქნა 13 პირი. რომელთაგან გამოკითხულია 3 ფიზიკური პირი და გრძელდება მათი შემოსავლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შესწავლა.³⁴

ასევე, აუდიტის სამსახურმა შეისწავლა შპს RMG Gold-ის და შპს ლილო-მოლი-ს თანამშრომლების მიერ მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისთვის“ სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან შემომწირველი პირების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული დოკუმენტაციით შემოწირულებების განხორციელების წინა ან შემდგომ პერიოდში საეჭვო ჩარიცხვები არ გამოვლენილა. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, დასაბუთებულ იქნა შემომწირველების მიერ შემოწირულებების განხორციელების შესაძლებლობა.³⁵

აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდში ამ უწყებამ შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, 7 საქმეზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომელთაგან სამზე უკვე დაასრულა წარმოება, ორი სამართალდარღვევის ფაქტზე კი შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. ორი საქმის შესწავლა კვლავ გრძელდება, მათ შორისაა შემთხვევა, რომლის შესწავლის მიზები გახდა საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის

33 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 23.10.2020: <https://bit.ly/37QtFA4>
34 იქვე, გვ. 6
35 იქვე.

„დოსიე“ ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ორ ნაწილად 24³⁶ და 31³⁷ აგვისტოს გამოქვეყნდა და მათში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კრემლთან კავშირებსა და ფინანსურ ურთიერთობებზეა მოთხრობილი. აღნიშნულმა საქმემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები, რითაც შეძლებს მსგავსი შემთხვევების გამოძიებას.³⁸

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობა არაერთი წელია უკვე ღიად აცხადებს, რომ პარტიების ფინანსებზე ჯეროვანი მონიტორინგის უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები არ გააჩნია და ძალიან უჭირს პოლიტიკური კორუფციის შესაძლო შემთხვევების შესწავლა. ამ უწყების მენეჯმენტის აზრით, საჭიროა, ამ ფუნქციის სხვა ისეთ უწყებაში გადატანა, რომელსაც გამოძიების ნარმოების უფლებამოსილება ექნება. ამ იდეას იზიარებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც“, სწორედ ამიტომ ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო შესაბამისი კანონპროექტის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო.³⁹ ეს უწყება აღჭურვილი იქნება საგამოძიებო უფლებამოსილებებით და სხვა საკითხებთან ერთად პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებსაც გაუწევს ზედამხედველობას. პარლამენტის რამდენიმე წევრმა აღნიშნული კანონპროექტი უკვე დაარეგისტრირა საკანონმდებლო ორგანოში, თუმცა იგი ჯერჯერობით არ განხილულა.

36 *Как Кремль вмешивается во внутреннюю политику соседних стран: Часть первая: выборы в Грузии*, Центр Досье, 24.08.2020: <https://dossier.center/georgia/>

37 *Как Кремль вмешивается во внутреннюю политику соседних стран: Выборы в Грузии: продолжение*, Центр Досье, 31.08.2020: <https://dossier.center/georgia2/>

38 *2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში*, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 23.10.2020: <https://bit.ly/37QtfA4>, გვ. 7-10

39 *ანტიკორუფციულ რეფორმაზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობას*, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 01.09.2020: <https://bit.ly/3jrEwbZ>